DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება



ძვირფასო DWV-ს წევრებო და მეგობრებო,

ჩვენს ქართულენოვან ბიზნეს ბიულეტენში ჩვენ თქვენთვის კვლავ შევაჯამეთ სიახლეები DWV-სა და მისი წევრი კომპანიების/პარტნიორების, ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების, წევრების ექსკლუზიური შეთავაზებებისა და მნიშვნელოვანი ბიზნეს სიახლეების შესახებ. ბიულეტენის ბოლოს იხილავთ სპეციალურ შეთავაზებებს ჩვენი მკითხველებისთვის.

იცოდით, რომ

DWV **გეხმარებათ თქვენი თანამშრომლების პროფესიული გადამზადების პროცესში**?

ჩვენ გთავაზობთ კომპეტენციის გამაღრმავებელ სემინარებსა და ტრენინგებს. ვთანამშრომლობთ სფეროს წამყვან ტრენერ კომპანიებთან და გამოცდილ ექსპერტებთან.

DWV-**ს წევრები სარგებლობენ ექსკლუზიური შეთავაზებით**: სპეციალური ფასდაკლებები.

თქვენი უპირატესობები: ეფექტური გადამზადება, აქტუალური თემები - სპეციალური პირობები წევრებისთვის.

გახდი წევრი

გამოფენები გერმანიაში



EUROVINO 1|2 მარტი 2026, კარლსრუე

ღვინის გამოფენაზე ადგილები შეზღუდულია, იჩქარე!

გაიგე მეტი **ამ ბმულზე.**

LEARNTEC 5|7 მაისი 2026, კარლსრუე

LEARNTEC - **ევროპის წამყვანი გამოფენა ციფრული განათლების სფეროში** აერთიანებს განათლებას, ბიზნესსა და ტექნოლოგიებს და მოიცავს თემებს, როგორიცაა AI, e-learning და LMS, კორპორატიული სწავლება, VR/AR და EdTech ინოვაციები.

გამოფენასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით ქ-ნ. მარიამ თუშიშვილს mariam.tushishvili@dwv.ge.

---

18 მარტი 2026 | სასტუმრო Holiday Inn Tbilisi, თბილისი, 26 მაისის მოედანი 1.
Get Together

23 აპრილი 2026 | სასტუმრო Tbilisi Philharmonic by Mercure, პეტრე მელიქიშვილის 10, 0179 თბილისი
სემინარი: როგორ ვაწარმოოთ წარმატებული ბიზნეს-მოლაპარაკება

ღონისძიებებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით ქ-ნ ნინო ჭეიშვილს nino.tcheishvili@dwv.ge

---

ჩატარებული ღონისძიებები



2026 წლის თებერვალში DWV-მ ჩაატარა:

- ტრადიციული Get Together სასტუმრო Paragraph Freedom Square, a Luxury Collection Hotel Tbilisi-ში.
- **სემინარი** თემაზე: საგადასახადო და საერთაშორისო დაბეგვრის სიახლეები. რა იცვლება 2026 წელს?

შეთავაზება ჩვენი წევრებისთვის



International Women's Day at Rum Roof Kitchen and Bar

Celebrate a memorable evening with friends at Rum Roof with a special menu created for 3 or 5 persons, perfectly convenient and delicious.

3 persons -200 Gel I 5 persons - 300 Gel

Perfect for a women's gathering, enjoy a variety of tasty dishes and drinks in one package.

გაატარეთ დაუვიწყარი საღამო მეგობრებთან ერთად Rum Roof-ში
და ისიამოვნეთ სპეციალური მენიუთი, შექმნილი 3 ან 5 ადამიანისთვის, მარტივად, კომფორტულად და გემრიელად.

3 პირისთვის – 200₾ I 5 პირისთვის – 300₾

იდეალური დღე ქალების შეკრებისთვის, გემრიელი კერძები და სასმელები ერთ შეთავაზებაში.

4 Galaktion Tabidze St. I (+995) 32 32 200 24 24 I ha413@accor.com

ibis Styles Tbilisi Center - **ქალთა საერთაშორისო დღე** Rum Roof-**ში**!

ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, Rum Roof Kitchen & Bar გიწვევთ განსაკუთრებულ საღამოზე.

დატკბით სპეციალური მენიუთი და გაატარეთ დაუვიწყარი საღამო მეგობრებთან ერთად!

 მენიუ 3 **პერსონისთვის** – 200 **ლარი**
 მენიუ 5 **პერსონისთვის** – 300 **ლარი**
 ყველაფერი ერთ კომფორტულ პაკეტში!

 8 მარტი

 032 322002424 | ha413@accor.com

ibis Styles Tbilisi Center -**სასაცილო პიცის მასტერკლასი პატარა შეფებთან ერთად**

რესტორანი SIBI 5-12 წლის ბავშვებს იწვევს სასაცილო პიცის ვორქშოფზე, სადაც პატარა შეფები ისწავლიან პიცის მომზადებას.

 სახალისო და კრეატიული გაფორმება
 ბავშვებზე მორგებული ფორმატი
 საკუთარი პიცის შექმნა

 15 მარტი | 12:00 საათი
 55 ლარი

 032 322002424 | ha413@accor.com

Tbilisi Philharmonic by Mercure Hotel - **აღნიშნე ქალთა საერთაშორისო დღე ჯაზის თანხლებით**

რესტორანი MUSE გიწვევთ დაუვიწყარ საღამოზე ცოცხალი ჯაზის თანხლებით.

 ცოცხალი ჯაზი
 1 კოქტეილი საჩუქრად
 შოკოლადის ეკლერი საჩუქრად

 8 მარტი | 19:00 საათი
 60 ლარი ერთ ადამიანზე

 032 2447777 | HC1N1@accor.com

Tbilisi Philharmonic by Mercure - Funny Pizza Masterclass

რესტორანი MUSE პატარა შეფ-მზარეულებს იწვევს ინტერაქტიულ პიცის ვორქშოფზე.

5-12 წლის ბავშვები თავად მოამზადებენ ცომს და ფერადი ინგრედიენტებით შექმნიან საკუთარ პიცებს.

 შექმენი პიცა საკუთარი ხელით
 კრეატიული და ინტერაქტიული ფორმატი

 მხიარული გამოცდილება პატარა შეფებისთვის

 21 მარტი | 13:00 საათი
 55 ლარი

 032 2447777 | HC1N1@accor.com

წევრების სიახლეები

სადაზღვევო კომპანია **არდი** და ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“ თანამშრომლობის ახალ ეტაპს იწყებენ – პარტნიორობას, რომელიც პროფესიული ტალანტის დაზღვევას გულისხმობს და საქართველოში დღემდე ყველაზე ინოვაციურ დაზღვევის სახეობას განეკუთვნება. წლების წინ ქართული ნაციონალური ბალეტის ყველა წევრი სადაზღვევო კომპანია არდიმ დააზღვია და დაუშვა ტალანტის დაზღვევის პირველი პრეცენდენტი საქართველოში.

გრანთ თორნთონ საქართველო პროფესიონალურ სერვისებზე ბაზარზე მზარდი მოთხოვნის საპასუხოდ და კლიენტებისთვის მაღალი ხარისხის სერვისების უწყვეტად უზრუნველყოფის მიზნით, აგრძელებს მმართველი გუნდის გაძლიერებას. აღნიშნული სტრატეგიული განვითარების ფარგლებში, თამთა ნუცუბიძე გრანთ თორნთონ საქართველოს პარტნიორი გახდა. იგი აქტიურად იქნება ჩართული ფირმის სტრატეგიულ მართვაში და გრძელვადიანი განვითარების მიმართულებების ჩამოყალიბებაში. ამ ეტაპამდე კომპანიის პარტნიორები იყვნენ ვახტანგ ცაბაძე და პაატა შურღაია.

დიომ 30 წლის იუბილე კორპორატიული საღამოთი აღნიშნა, რომელიც კომპანიის ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპია. ღონისძიებაზე, რომელზეც თანამშრომლები და პარტნიორები იყვნენ მიწვეული, სპეციალური დაჯილდოებები და გათამაშებები გაიმართა. დიო ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა სამშენებლო ინდუსტრიაში, რომელიც მუდმივად ორიენტირებულია ხარისხის, განვითარების და პროფესიონალიზმის გაუმჯობესებაზე.

Gvinadze & Partners-**მა** იმოქმედა კრედიტორის ქართული სამართლის მრჩევლის როლში 150 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სასესხო დაფინანსების ფარგლებში, რომელიც TAV Georgia-სთვის (Groupe ADP-ის წევრი კომპანია) გაიცა.

აღნიშნული დაფინანსება ემსახურება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის განვითარების მომდევნო ეტაპს და მოიცავს მასშტაბურ გაფართოების პროგრამას, რომლის შედეგად აეროპორტის წლიური გამტარუნარიანობა 10 მილიონ მგზავრამდე გაიზრდება.

თიბისი ბანკის მხარდაჭერით AI ლიგის პირველი ტური ჩატარდა, რომელიც მოსწავლეებს AI ოლიმპიადებისთვის ამზადებს. ლიგა კურსის პრაქტიკულ კომპონენტს წარმოადგენს და მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს, ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ ოლიმპიადის ფორმატში გამოცადონ საკუთარი ცოდნა. AI ლიგის პირველ ტურში მონაწილეობა 50-მდე მოსწავლემ მიიღო.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა 2026 წლის 4 თებერვალს ევროკავშირის ბაზარზე წვდომისა და სოციალური მდგრადობის საკითხებზე შეხვედრა გამართა. ღონისძიების მიზანი იყო იძულებითი შრომის საკითხის განხილვა და ევროკავშირის ახალი რეგულაციების გაცნობა, რაც გავლენას მოახდენს კომპანიებზე.

დიომ ენერგოეფექტურობის ცენტრსა და კოლეჯ „ბლექსს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. პარტნიორობის ფარგლებში შეიქმნა ახალი პროფესიული პროგრამა „თანამედროვე კარ-ფანჯრებისა და გამჭვირვალე ზედაპირების დამზადება-მონტაჟი“, რომელიც შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ეკოლოგიურ გამოწვევებს პასუხობს. პროექტი მიზნად ისახავს განათლებისა და წარმოების სექტორების დაახლოებას, რაც სტუდენტების უნარების გაძლიერებასა და ენერგოეფექტური მშენებლობის პრაქტიკის დანერგვას მოიცავს.

ყველა სიახლეს გაეცნობით აქ

ეკონომიკის სიახლეები

2026 წლის 4-6 თებერვალს **ბერლინში ხილისა და ბოსტნეულის უდიდესი გამოფენა** FRUIT LOGISTICA გაიმართა, სადაც ერთ სივრცეში შეიკრიბნენ მწარმოებლები, დარგის სპეციალისტები და ამ სფეროთი დაინტერესებულ პირები მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

გერმანიის ეკონომიკურმა გაერთიანებამ (DWV), როგორც FRUIT LOGISTICA-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში, ბერლინში 11 ქართული კომპანიის მონაწილეობა უზრუნველყო. საქართველოს პავილიონში წარმოდგენილი იყვნენ **ლურჯი მოცვის**, **მშრალი ხილისა და სანელებლების მწარმოებელი კომპანიები**:

GeoAgro Estate, AGROLANE, Blue Bird Berries, Kolkhuri Kenkra, Agritouch, Khoni Plantations, Geo Organics, Alpine Spices, Gentry Investments, Caucasus Organic Fruits, Georgian Agrarian Union.

DWV **მხარს უჭერს ქართულ კომპანიებს გამოფენაში მონაწილეობის ყველა ეტაპზე** და ინტენსიურად თანამშრომლობს სოფლის განვითარების სააგენტოსთან.

2026 წლის 5 თებერვალს, **ინვესტორთა საბჭოში** (IC) გაიმართა შეხვედრა თემაზე: **საქართველოს შრომითი მიგრაციის საკანონმდებლო ჩარჩო**. შეხვედრას

ესწრებოდნენ იურიდიული ექსპერტები და ინვესტორთა საბჭოს წევრი ორგანიზაციები, მათ შორის გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების (DWV) აღმასრულებელი დირექტორი, **ბ-ნი მაგ. თომას კიმესვენგერი**.

შეხვედრაზე განიხილეს პროექტის მთავარი გამოწვევები, მისი პრაქტიკული გავლენა ბიზნესზე, მოთხოვნილი პროცედურები და დოკუმენტაცია, ასევე წესების გამოყენება საზღვარგარეთულ დისტანციურ საქმიანობებზე.

ყველა სიახლეს გაეცნობით აქ

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
Tel.: +995 32 220 57 67
E-Mail: info@dwv.ge
www.dwv.ge

ბიზნეს ბიულეტენის გამოწერის გასაუქმებლად დააჭირეთ ქვემოთ მითითებულ ბმულს.

გამოწერის გაუქმება